17/12/2024

MES 7 24 0001622717

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 04.12.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი
სხდომის დასრულების დრო: 14:42 საათი
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
სხდომის მდივანი: ქეთევან გილაშვილი

სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

სააპელაციო საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **ქეთევან გილაშვილი** - საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის სკოლამდელი განათლების ექსპერტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ერეკლე ასტახიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
5. **ირმა შიოშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
6. **ირაკლი კორძაია** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ანასტასია ქიტიაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური ფსიქოლოგიის ცენტრის დირექტორი;
8. **თეონა თიგიშვილი** - საქართველო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის გეოგრაფიის ექსპერტი;
9. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის/დირექტორის პროფესიის რეგულირების პროგრამის მენეჯერი, შპს "ევროპული სკოლის" ქართული პროგრამის ხელმძღვანელი;
10. **თამარ ჭყონია** - მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე პროგრამის - ინოვაციის, ინკლუზიურობისა და ხარისხის პროექტის - საქართველოში 12Q (WB) ადრეული და

სკოლამდელი განათლების ხარისხის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კომპონენტის ხელმძღვანელი;

11. **ქეთევან ნატრიაშვილი** - გერმანული საკონსულტაციო კომპანიის - PE Consult GmbH პროფესიული განათლების პროგრამის გუნდის ხელმძღვანელი, პროექტის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ქეთევან ინანაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**მარიამ ბერიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

მამუკა თავხელიძე - რექტორი;

გიორგი მირიანაშვილი - რექტორის მოადგილე სტუდენტთა მხარდაჭერისა და სწავლა-სწავლების საკითხებში, საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი;

გულნაზი გალდავა - რექტორის მოადგილე იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხებში, სამართლის სკოლის დეკანი;

მოგელი შენგელია - რექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში;

ნინო გორდელაძე - მედიცინის სკოლის დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი;

თამარ თავხელიძე - საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრის ხელმძღვანელი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების (შემდგომში - ავტორიზაციის დებულება) 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ ავტორიზაციის დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. "შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ 2024 წლის 27 სექტემბრის №1221687 გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე
შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- √ არა

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. "შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ 2024 წლის 27 სექტემბრის №1221687 გადაწყვეტილებაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარის განხილვა.

საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება/თვითაცილება

- √ არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ სხდომას ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენელი არ დაესწრებოდა, ამიტომ მოსმენა განხორციელდებოდა მხოლოდ დაწესებულების მხრიდან. სააპელაციოს საბჭოს წევრებს ექნებოდათ შეკითხვების დასმის შესაძლებლობა, რომელსაც დაწესებულება უპასუხებდა, მისი თქმით, ამის შემდეგ სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ სააპელაციო საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას მოეხსენებინა საჩივარი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საჩივრის პირველი ფორმალური მიზეზი, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო, არის ის, რომ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების დროს, უნივერსიტეტის სტუდენტთა რაოდენობის კვოტა გამოცხადდა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და არ იქნა განხილული საბჭოს მიერ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, რომ ექსპერტთა ჯგუფმა საუკეთესო პრაქტიკად ჩათვალა მათი მედიცინის სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გარდა ამისა, მან წაიკითხა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან ამონარიდი: „უნივერსტიტეტის ინფრასტრუქტურა მოიცავს ორ ძირითად კამპუსს, ერთს თბილისში და მეორეს ბათუმში. დამატებით დედაქალაქში უნივერსიტეტს გააჩნია სტომატოლოგიური კლინიკა, საუნივერსიტეტო საავადმყოფო და კლინიკური უნარების ცენტრი. ზოგადად შენობები ადეკვატურად არის ადაპტირებული მათი ფუნქციური დანიშნულებისთვის უზრუნველყოფილი ოპტიმალური საგანმანათლებლო სივრცით და ყველაზე მთავარი, რაც განაპირობებს საფუძველს არის ის, რომ „უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური

კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დადგენილ მეთოდოლოგიასა და ინსტიტუციურ მახასიათებლებს. სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის რესურსების შეფასების საფუძველზე უნივერსიტეტმა გამოთვალა სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობა, რომელსაც იგი ეფექტიანად და ეფექტურად მოემსახურება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში“.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით გააკეთა კომენტარი, რომ მას არ სურს საბჭომ მიიღოს მათი საჩივარი, როგორც კლასიკური საჩივარი იმ გაგებით. მათ მიეცათ შეკითხვების დასმის, აზრის გამოთქმის საშუალებები, თუმცა იქ იყო უცხოელი ექსპერტების ფაქტორი. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, საბჭოს წევრებს სიჩქარეში გამორჩათ ეს საკითხი. ისინი ფიქრობენ, რომ თუ ამ საკითხს საბჭო კიდევ ერთხელ განიხილავდა, ეს აუცილებლად მათ სასარგებლოდ გადაწყდებოდა.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა დაწესებულების სხვა წევრებს, თუ სურდათ რაიმე კომენტარის გაკეთება. ამის შემდეგ მან მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ შეკითხვები. საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა სთხოვა დაწესებულებას, რომ კონტიგენტის განსაზღვრის ფორმულასთან/მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით ესაუბრათ. მისი თქმით, ვინაიდან ოქმიდან გამომდინარე, დაწესებულების მხრიდან კონტიგენტზე საუბარი უფრო მეტად ზოგადი იყო და არ მოიცავდა მედიცინის მიმართულების ნაწილს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე არ განხილულა. მისი თქმით, რეკომენდაციებზე საუბრის დროს, უცხოელმა ექსპერტებმა შეაჩერეს კიდეც და უთხრეს, რომ ეს ყოველივე უკვე ეწერათ და ხელმეორედ განხილვა აღარ იყო საჭირო, ამიტომ დაწესებულება შეიზღუდა და დეტალიზება ამ ყველაფრის აღარ მოუხდენია. მან დაამატა, რომ არ ყოფილა საწინააღმდეგო აზრი გამოთქმული კონტიგენტთან მიმართებით, ამდენად დამატებითი არგუმენტების წარმოდგენაც არ მოუხდენიათ, რადგან მოსაზრებები, რომელიც დაწესებულების წარმომადგენელმა წარუდგინა საბჭოს წევრებს, ასევე მოცემული იყო ექსპერტთა დასკვნაში. ავტორიზაციის საბჭოს მიერ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 450 სტუდენტი, მამუკა თავხელიძის განმარტებით ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა განსაზღვრეს საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის მომენტისათვის პროგრამაზე არსებული სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე. დაწესებულების მიერ ავტორიზაციის საჭოსთვის ერთსაფეხურიან მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი იყო 1200 სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რომ სტუდენტთა განსაზღვრის მათი მეთოდოლოგია მოიწონა თავად ავტორიზაცის ექსპერტთა ჯგუფმა, ორი საერთაშორისო ექსპერტი იყო ჩართული შეფასების პროცესი. ერთი ბრიტანეთიდან და მეორე უნგრეთიდან. მისი თქმით, იმ მეთოდოლოგიით, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ინსტიტუცია, უფრო მეტი კონტინგენტი ეკუთვნოდათ, დაახლოებით, 1500-დან 1700-მდე, მაგრამ მათ მაქსიმუმი არ აიღეს ბევრი მიზეზის გამო. მათ იცოდნენ, რომ ზოგადი განწყობა არ იყო პოზიტიური მედიცინის პროგრამების მიმართ. გარდა ამისა, მათ არ სურდათ დაძაბულ რეჟიმში მუშაობა. ამიტომ განსაზღვრეს 1200 სტუდენტი. რეალურად იმ კონტინგენტით და მეთოდოლოგიისთ შეეძლოთ მოეთხოვათ 1700 კაცი.

საბჭოს თავჯდომარეს, გოდერძი ბუჩაშვილს აინტერესებდა, თუ რამდენი ხანი ფუნქციონირებდა მედიცინის პროგრამა დაწესებულებაში. დაწესებულების წევრმა უპასუხა, რომ 4 წელი ფუნქციონირებდა.

საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა, ჰყავდათ თუ არა კურსდამთავრებული.

დაწესებულებამ უპასუხა, რომ კურსი მობილობით გადმოსული სტუდენტებმა დაამთავრეს.

გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის ფორმულის გათვალისწინებით, მედიცინის მიმართულებით თუ არსებობდა ცალკე ფორმულა დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა და აღნიშნა, რომ კლინიკას უნდა ჰყოლოდა 10 სტუდენტი 1 საწოლზე. დაწესებულებამ გაითვალისწინა უფრო ნაკლები - 6 სტუდენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებსა და დაწესებულებას, სურდათ თუ არა რაიმეს დამატება.
საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები. დაწესებულებასაც არ სურდა რაიმეს დამატება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 14:29

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატრიაშვილი სხდომას შემოუერთდა 14:35 საათზე

დასრულების დრო: 14:41

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა "შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ 2024 წლის 27 სექტემბრის №1221687 გადაწყვეტილების ავტორიზაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა ერთსულოვნებით გადაწყდა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული 2024 წლის 27 სექტემბრის №1221687 გადაწყვეტილება "შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, შემდეგი მითითებებით: მიზანშეწონილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ დეტალურად განიხილოს დაწესებულების სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის, მათ შორის, დიპლომირებულ მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხი, რაზეც საუბრობდა მიმდინარე სხდომაზე დაწესებულება, ხოლო საბჭოს სხდომის ამსახველ დოკუმენტებში, გაიწეროს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება.

გადაწყვეტილება:

გადაწყვეტილება:

1. "შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ 2024 წლის 27 სექტემბრის №1221687 გადაწყვეტილებაზე შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს სრულად;
2. “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 95-ე მუხლის პირველი პუნქტის და 101-ე

მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხი.

3. ეთხოვოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ცხადად და განჭვრეტადად გამოკვეთოს იმ მოსაზრებების შინაარსობრივი შინაარსობრივი დასაბუთება, რომელიც, მიუხედავად საბოლოო დადებითი შედეგისა (ავტორიზაციის მინიჭება) დაწესებულებასთან დაკავშირებით, საბჭოს მიერ იქნა დამატებული და რომელმაც შესაძლოა გარკვეული გავლენა მოახდინოს დაწესებულების პროცესებზე.

საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 14:42 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს მდივანი
გილაშვილი ქეთევან

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი